განკარგულება:**g-135. 135240607**
თარიღი:**29/02/2024**

მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის, I- პუნქტის, ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის ანგარიში, თანახმად დანართი № 1-ისა (ანგარიში თან ერთვის).

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი